

## თავი 6 სიმაღლის გადასახადი

ქალაქში ხეტიანისას ჯონათანმა კარგად ჩაცმული დარბაისელი მამაკაცი შენიშნა, რომელიც მუხლებზე დაჩოქილი გაჭირვებით ცდილობდა გადაადგილებას. მამაკაცი ხეიბარს სულაც არ ჰგავდა, უბრალოდ პატარა ჩანდა. ჯონათანმა მამაკაცს ხელი გაუწოდა, თუმცა მან თავი აარიდა.

– არ არის საჭირო, გმადლობთ! – თქვა მამაკაცმა და ტკივილისგან შედრკა. – მე კარგად დავდივარ. უბრალოდ მუხლებით სიარულის მიხვევას დრო უნდა.

– კარგად ხართ? მაშინ ფეხით რატომ არ დადიხართ?

– ეჰ! – ამოიკვნესა მამაკაცმა და ტკივილისგან დაიკრუნხა. – ეს უბრალოდ უმნიშვნელო ცვლილებაა საგადასახადო კოდექსში.

– საგადასახადო კოდექსში? – გაიმეორა ჯონათანმა, – კი მაგრამ, საგადასახადო კოდექსი სიარულთან რა კავშირშია?

– ოოო! სწორედ რომ უშუალო კავშირშია! – ამჯერად მამაკაცი უკან გადაიხარა და ფეხის ქუსლებზე ჩამოჯდა, რათა მტანჯველი ტკივილი ოდნავ შეემსუბუქებინა. მან პერანგის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა. შემდეგ კი პოზა შეიცვალა, რათა დაღლილი მუხლები დაეხილა. მის შარვალზე სხვადასხვა ფენად გაცვეთილი საკერებელი იყო დადებული.

– საგადასახადო კოდექსში შეიტანეს ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს საქმიანობის ყველა სფეროში სიმაღლის მიხედვით ხალხის გათანაბრებას.

– სიმაღლის მიხედვით გათანაბრებას? – გაიკვირვა ჯონათანმა.

– თუ შეიძლება, ოდნავ ჩემსკენ დაიხარე, ყვირილი რომ არ მომიწიოს, – სთხოვა მას კაცმა. – აი ასე უკეთესია. ლორდთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ მაღალ ხალხს მეტი უპირატესობა ჰქონდა.

– სიმაღლის უპირატესობა?

– დიახ! მაღალ ადამიანს ყოველთვის ენიჭებოდა უპირატესობა, ვნებავთ, სამსახურში აყვანისას ან დაწინაურებისას; სპორტში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში და თუნდაც ქორწინებაში! ეჰ! – თქვა კაცმა და შარვლის ახლადდარღვეულ ადგილზე ცხვირსახოცი შემოიხვია. – ამრიგად, ერთ დონეზე გათანაბრების მიზნით, ლორდებმა სიმაღლის მკაცრი გადასახადი დაგვიწესეს.

– მაღლებს გადასახადი დაუწესეს? – ჯონათანმა მიიხედ-მოიხედა და იგრძნო, რომ თავადაც მხრებში მოიხარა.

– გადასახადის გადახდა სიმაღლის მიხედვით გვიწევს.

– ვინმემ თუ გააპროტესტა ეს გადაწყვეტილება?

– მხოლოდ მათ, ვინც დაჩოქვაზე უარი განაცხადა, – თქვა მამაკაცმა. – თუმცა, პოლიტიკოსებისთვის გამონაკლისი იყო დაშვებული. ჩვენ ყოველთვის ვირჩევთ მაღლებს! მოგეწონს, როდესაც ჩვენს ლიდერებს ქვემოდან შევცქერით.

ჯონათანი გაოგნებული იყო. ახლა მან იგრძნო, რომ თავადაც შეგნებულად მოიხარა და მოიკუნტა. მან ორივე ხელით მიუთითა მამაკაცის მუხლებზე და კვლავაც დაეჭვებულმა იკითხა: – თქვენ მუხლებზე იმიტომ დადიხართ, რომ გადასახადს აარიდოთ თავი?

– რა თქმა უნდა! – ტანჯული ხმით უპასუხა მამაკაცმა. – მთელი ჩვენი ცხოვრება საგადასახადო კოდექსს უნდა მოვარგოთ. ზოგიერთს ცოცვაც კი უწევს ამის გამო.

– ღმერთო ჩემო! ეს ხომ მტკივნეულია! – წამოიძახა ჯონათანმა

– მართალია, მაგრამ გაცილებით უარესია ამ გადასახადის გადახდა. ეჰ! სულელი უნდა იყო, რომ გამართულმა იარო და მაღალი გადასახადი იხადო. ამრიგად, თუ გინდა, რომ ჭკუით მოიტყვე, დადექი მუხლებზე. მხრებში გამართული სიარული ძვირი დაგიჯდება.

ჯონათანმა ირგვლივ მიმოიხედა. რამდენიმე ადამიანი ასევე დაჩოქილი გადაადგილდებოდა, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ქალბატონი მიცოცავდა, უამრავი

ადამიანი კი მოკუზული მოდიოდა. მხოლოდ რამდენიმე კაცი, დადგენილების უგულვებელყოფის ნიშნად, ამაყად გამართულიყო მხრებში. უეცრად ჯონათანმა შენიშნა სამი მამაკაცი, რომელიც ქუჩის მოპირდაპირე მხარეს სკამზე იჯდა.

– აი ის სამი მამაკაცი თვალების, პირისა და ყურების დაფარვას რატომ ცდილობს? – იკითხა ჯონათანმა.

– ა, ისინი? ... ისინი ახალი საგადასახადო ცვლილებებისთვის ემზადებიან, – თქვა კაცმა, ისევ მუხლებზე დადგა და ფორთხვით დატოვა იქაურობა.